

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს “აგარის შაქრის კომპანია”

2018 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის
გამზირი 54
0144, თბილისი,
საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს “აგარის შაქრის კომპანიის” მფლობელს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს “აგარის შაქრის კომპანიის” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე პერიოდის დასრულებული წლებისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – “პირობითი მოსაზრების საფუძველი” – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანია აგარაში 300 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების მიწას ფლობს. 2018 წელს კომპანიამ მიწისთვის შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა თვითღირებულების მოდელიდან გადაფასების მოდელით, ცვლილება აისახა რეტროსპექტიულად 2015 წლის 1-ლი იანვრიდან, და შესაბამისად კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გადაიანგარიშა, კომპანიის მფლობელობაში მყოფი მიწა აღიარდა 1,889 ათას ლარად დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებაზე დაყრდნობით. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემული შეფასების დასკვნა არ აკმაყოფილებს შეფასებისთვის დაწესებულ მინიმალურ მოთხოვნებს და სტანდარტებს საერთაშორისო შეფასების სტანდარტების და ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასება-ის მიხედვით. აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენთვის არ იყო შესაძლებელი, რომ მიგვეღო საკმარისი მტკიცებულება მიწის გადაფასებული რაოდენობის შესახებ, რომელიც შეადგენს 1,889 ათას ლარს, გადაფასების რეზერვს 810 ათას ლარს და 779 ათას უმცირესობის წილს, რომელიც აღრიცხულია საბალანსო ღირებულების ანგარიშგებაში, როგორც გადაანგარიშებულია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პაუსხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის

საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული მატერიალური განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 17.2-სა და 17.3-ზე. 2018 წელს კომპანიას ჰქონდა 565 ათასი ლარის (2017: 910 ათასი) წმინდა ზარალი. მთავარი მიზეზი მომგებიანობის შემცირების არის საქართველოს ბაზარზე ახალი კომპანიების მხრიდან ფასის ძლიერი კონკურენცია, რომელთა მთავარი საქმიანობა იმპორტი და შაქრის გაყიდვაა, ხელმძღვანელობა იღებს კონკრეტულ ზომებს, რომ შეამციროს გარემოების ეფექტი. ეს საკითხი სხვა საკითხებთან ერთად რომლებიც ახსნილია შენიშვნა 17.2-სა და 17.3-ში, მიუთითებს, რომ თუ კომპანიის ხელმძღვანელობის მოსაზრება კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით განსხვავდება რეალური შედეგებისგან, ეს ყოველივე სერიოზულ ეჭვს აღძრავს კომპანიის შესაძლებლობაზე, გააგრძელებს თუ არა საქმიანობას.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა საკითხები

როგორც აღწერილია შენიშვნა 23-ში, შედარებითი ფინანსური ანგარიშგებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაანგარიშდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. ასევე ჩავატარეთ აღნიშნული გადაანგარიშების აუდიტი.

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება ამ აუდიტის დასკვნის წარდგენის თარიღის შემდგომ.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაზე მოსაზრებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (IFRS). ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა

კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით, თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების დაშვებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვეგემავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ზომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომისიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას ორგანიზაციის ან ბიზნესის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აუდიტორული მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ კომპანიის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის გაძღოლაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

ქეთევან ლამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

2019წ. 11 ივნისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	4	12,712	14,103	15,537
არამატერიალური აქტივები		18	19	20
		12,730	14,122	15,557
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	19,744	3,514	6,548
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	496	1,167	4,863
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		20	13	553
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	899	281	195
		21,159	4,975	12,159
სულ აქტივები		33,889	19,097	27,716
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>				
საწესდებო კაპიტალი	8.1	5,156	5,156	5,156
გადაფასების რეზერვი		1,589	1,589	1,589
აკუმულირებული მოგება		11,511	12,076	12,986
სულ კაპიტალი		18,256	18,821	19,731
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	15,633	276	7,134
სესხები		-	-	851
		15,633	276	7,985
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		33,889	19,097	27,716

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019წ. 11 ივნისს:

ალხან ალიზადა

გენერალური დირექტორი

ირმა ირემაძე

ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული

შემოსავლების ანგარიშგება

ათასი ლარი		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
	შენიშვნა		
შემოსავალი	10	64,918	90,764
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(63,454)	(86,629)
საერთო მოგება		1,464	4,135
სხვა შემოსავალი	12	3,685	1,341
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(3,972)	(5,184)
გაყიდვების და ღირებულების ხარჯები	14	(757)	(775)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		420	(483)
ფინანსური შემოსავალი		68	-
ფინანსური ხარჯი		-	(2)
სხვა ფინანსური ერთეულები	15	(1,018)	(406)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(530)	(891)
მოგების გადასახადის ხარჯი	16	(35)	(19)
წლის ზარალი		(565)	(910)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი/ზარალი		-	-
მთლიანი ზარალი საანგარიშგებო წლისთვის		(565)	(910)

თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2017 წელი (გადაანგარიშებული)	5,156	1,589	12,986	19,731
წლის ზარალი	-	-	(910)	(910)
მთლიანი გაერთიანებული ზარალი	-	-	(910)	(910)
31 დეკემბერი, 2017 წელი (გადაანგარიშებული)	5,156	1,589	12,076	18,821
წლის ზარალი	-	-	(565)	(565)
მთლიანი გაერთიანებული ზარალი	-	-	(565)	(565)
31 დეკემბერი, 2018 წელი	5,156	1,589	11,511	18,256

თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი წლის განმავლობაში	(565)	(910)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	952	1,533
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი/(მოგება)	64	9
საპროცენტო ზარჯი	-	2
მოგების გადასახადის ზარჯი	35	19
ფინანსური შემოსავალი	(68)	-
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	(3)	15
საკუროს სხვაობის ზარალი/(მოგება)	1,018	406
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე	1,433	1,074
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	685	4,306
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(15,593)	3,142
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	13,800	(7,054)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	325	1,468
გადახდილი პროცენტი	-	(2)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	325	1,466
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(261)	(215)
საპროცენტო შემოსავლის მიღება	68	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(193)	(215)
სესხების დაფარვა	-	(851)
წმინდა ფული ფინანსირებიდან	-	(851)
წმინდა ფულის ზრდა/(კლება)	132	400
საკუროს სხვაობის გავლენა ფულზე	486	(314)
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის დასაწყისში	281	195
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის ბოლოს	899	281

თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “აგარის შაქრის კომპანია” დაარსდა 2010 წელს. კომპანია ფლობს საქართველოში ერთადერთ შაქრის ქარხანას, რომელიც მდებარეობს სოფელ აგარაში, ქარელის რაიონში. ქარხანა ფუნქციონირებს 1932 წლიდან.

კომპანიის მთავარი საქმიანობაა შაქრის ლერწმის გადამამუშავების შედეგად მიღებული ნედლეულიდან თეთრი შაქრის წარმოება და საბოლოო პროდუქტის შიდა ბაზარზე გაყიდვა. კომპანია ასევე ყიდულობს რაფინირებულ შაქარს და ყიდის შიდა ბაზარზე.

კომპანიის მფლობელების სტრუქტურა შემდეგნაირია:

მფლობელები	%
შპს “ანატოლია თრეიდ კომპანი” (საქართველო)	51.00
შპს “უნივერსალ კაპიტალ ჯგუფი” (საქართველო)	24.50
შპს “ნირეზონ საქართველო” (საქართველო)	16.33
Wellington Marketing FZE (გაერთიანებული ემირატები)	8.17
	100.00

კომპანიის იურიდიული მისამართია: მატროსოვის ქ 13, ისანი, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად გამოშვებული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის. მთლიანი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია დამრგვალებულად ათას ლარში.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე

ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის (“IFRIC”) მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ოპერაციებთან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტები პირველად დაინერგა 2018 წელს, მათ არ ჰქონიათ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშგო წლებისათვის

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ (“IASB”) გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალ სტანდარტს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაში და შემოაქვს ახალი ახალი, ე.წ. “მოსალოდნელი ზარალის” მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე მოიცავს ახალ განმარტებას ჰეჯირების ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ფასს 9-ის დანერგვისას, კომპანიამ გამოიყენა გარდამავალი რელიეფი და არ დანერგა წინა პერიოდებზე. განსხვავება, რომელიც წარმოიშვა ფასს 9-ის დანერგვისას კლასიფიკაციასთან, გაზომვასთან და გაუფასურებასთან დაკავშირებით აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაზე.

ახალი სტანდარტი გამოყენებული უნდა იყოს 2018 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომი საანგარიშგო პერიოდისთვის.

ფასს 9-ის მიღების შედეგად ცვლილებები არ აღინიშნება ფინანსური კალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისას.

ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

15 ითხოვს შემოსავლის ახალი მეთოდით აღიარებას, ის ჩაანაცვლებს ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო კონტრაქტები, და შემოსავლებთან დაკავშირებულ რამოდენიმე ინტერპრეტაციას.

ფასს 15-ის დანერგვას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის დღისათვის, არის სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) მიერ, მაგრამ არაა ძალაში შესული. კომპანიას ჯერ კიდევ არ დაუწყია მათი დანერგვა ბუღალტრული ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში იმ დღიდან, როცა ისინი ძალაში შევა. ინფორმაცია რომ სტანდარტებზე, განახლებებზე და ინტერპრეტაციებზე, რომლებსაც გავლენა აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოყვანილია ქვემოთ. არდა ქვემოთ აღნიშნულისა, უკვე გამოქვეყნებულია რიგი სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციებიც, რომლებსაც, როგორც ხელმძღვანელობა ვარაუდობს, არსებითი გავლენა არ ექნებათ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს და დანართებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოიჯარეებს დაავალდებულებს “საბალანსო ანგარიშის” მეთოდით აღრიცხული არსებული იჯარები, აღრიცხონ “გამოყენების უფლების” მეთოდით, როგორც საიჯარო აქტივები, ასევე საიჯარო ვალდებულებები.

ფასს 16 აგრეთვე:

- ცვლის იჯარის განსაზღვრებას;
- განსაზღვრავს აღრიცხვის სტანდარტებს აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, შედარებით რთული შემთხვევების ჩათვლით, როგორიც არის არა-საიჯარო ელემენტები, განსხვავებული საიჯარო გადახდები და არჩევითი პერიოდები;
- მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების აქტივის იჯარებს უზრუნველყოფს გათავისუფლებისგან;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- უცვლელად ტოვებს ბასს 17 მიდგომებს მეიჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით;
- წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს ახსნა-განმარტებით დანართებთან დაკავშირებით

ფასს 16 მოთხოვნის მიხედვით გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ. სტანდარტის ადრეული, ნებაყოფლობითი ამოქმედება ნებადართულია. კომპანიას ნებაყოფლობით არ შეუფასებია ფასს 16 ცვლილების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

IFRIC 23 განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის გამოყენებასთან დაკავშირებით

IFRIC 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ აისახება განუსაზღვრელობა ბასს 12-ის შესაბამისად, კონკრეტულად (i) განუსაზღვრელი საგადასახადო მოპყრობა ცალკე უნდა განიხილებოდეს, (ii) საგადასახადო ორგანოების გამოცდების ვარაუდები, (iii) განსაზღვრა დასაბეგრი მოგების (ზარალის), საგადასახადო ბაზა, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო ვალის და საგადასახადო განაკვეთების, (iv) და ამ ცვლილებების ფაქტიური ეფექტები და გარემოებები.

IFRIC 23 მოქმედებს წლიური საანგარიშგებო პერიოდებზე დაწყებული 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ. მისი ადრეული მიღება და ფინანსურ ანგარიშში ასახვა დაშვებულია.

2015-2017 პერიოდის ყოველწლიური დანართები (გამოცემული 2017 წლის დეკემბერში)

წლიური დანართები 2015-2017 წლების განმავლობაში მცირე რაოდენობით შესწორდა რამდენიმე ფასსი. კომპანიასთან დაკავშირებული ცვლილებები შეჯამებულია ქვემოთ:

ბასს 12 – მოგების გადასახადი: მოგების გადასახადთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ეხება კაპიტალურ ინსტრუმენტებს

ბასს 12-ში შეტანილი შესწორებები განმარტავს, რომ დივიდენდების საშემოსავლო გადასახადის შედეგები აღიარდება მოგება-ზარალში, სხვა მთლიანი შემოსავლის ან სააქციო კაპიტალის მიხედვით, როცა საწყის ეტაპზე პირველად იქნა აღიარებული ეს უკანასკნელი გარიგებები ან მოვლენები.

ბასს 12 მოქმედებს წლიური საანგარიშგებო პერიოდებზე 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ. აღრეული განაცხადის მიღება ფინანსურ ანგარიშებში დაშვებულია.

2.6 ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშება

კომპანიამ შეიტანა ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და წინა პერიოდის შეცდომები რეტროსპექტიულად გაასწორა გამოსაცემად ავტორიზებული ფინანსური ანგარიშგებების პირველ ნაწილში თავიანთი აღმოჩენის შემდგომ: შედარებითი რაოდენობის გადაანგარიშებით წარმოდგენილი წინა პერიოდებისთვის, სადაც შეცდომა იყო დაშვებული, ან თუ შეცდომა იყო დაშვებული უახლოეს წარმოდგენილ პერიოდამდე, გადაანგარიშდა აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის საწყისი ბალანსები უახლოესი წინა წარმოდგენილი პერიოდისთვის. ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც მოიცავს შედარებით ინფორმაციას წინა პერიოდისათვის წარმოდგელია როგორც გასწორებული იმ პერიოდში, სადაც ამგვარი საჭიროება გაჩნდა. ამგვარად, შესწორებული რაოდენობა დაკავშირებული თითოეულ წარმოდგენილ პერიოდთან შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ევრო 3.0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და 3.1044 ევრო). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღრიცხვა ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 პირითადი საშუალებები

მიწა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადაფასებული ღირებულებით, გადაფასების დღის ღირებულებით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საჭიროებისამებრ (საკმარისი) სიზშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასებული საკუთრების გაყიდვის ან ბრუნვიდან ამოღების დროს, კუთვნილი გადაფასების ნაშეტი, რომელიც ღარჩენილია საკუთრების გადაფასების რეზერვში გადაიტანება პირდაპირ დაგროვილ მოგებაში.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობები	- 20 წელი
მანქანა-დანადგარები	- 12-13 წელი
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობები	- 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 6 წლის გაანგარიშებით.

3.4 გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ზარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.5 იჯარა

ფასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი ლიზინგის დაწყების თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევ გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური იჯარაზე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო

ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწვევისთანავე.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასის 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია - FVOCI.

კლასიფიკაცია განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების

გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 18.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL)

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება გამოტოვებულია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე ბირჟაზე დარეგისტრირებული ობლიგაციები, რომლებიც აქამდე დარეგისტრირებული იყო როგორც დაფარვის ვადამდე (HTM) ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებულ ხარჯად და FVOCI, სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ზარალის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ზარალის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2)

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

ფინანსური აქტივების წინა გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით.

წინა წელს, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება დაფუძნებული იყო განცდილი ზარალის მოდელზე. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მოთხოვნები გაუფასურებისთვის განხილული იყო, ვადაგადასულობის შემთხვევაში ან როდესაც ობიექტური მტკიცებულების მიხედვით კონკრეტული შემხვედრი მხარე ვალდებულებას ვერ შეასრულებდა. მოთხოვნები, რომლებიც არ იყო ინდივიდუალურად განხილული გაუფასურებისთვის, განიხილებოდა ჯგუფებში, რაც დამოკიდებულია ინდუსტრიასთან მიმართებაზე, შემხვედრი მხარის რეგიონზე, და სხვა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე. გაუფასურების ზარალის შეფასება დაფუძნებული იყო შემხვედრი მხარის ისტორიული შეუსრულებელი ვალდებულების კოეფიციენტზე თითოეული დადგენილი ჯგუფისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 5 დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდი რჩება თითქმის იგივე ფასს 9-ის მიხედვით ბასს 39-თან შედარებით, კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე გავლენა არ მოუხდენია ფასს 9-ის დანერგვას. მიუხედავად ამისა, სრულყოფილებისთვის აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია დაბლა.

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 18.2 შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, წმინდა გაცემის ღირებულებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და

ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, საკვალიფიკაციო აქტივის კონსტრუქციასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

ანგარიშების მიზნებისათვის, ფულის ექვივალენტები მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებია, რომლებიც ადვილად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი ექვივალენტები საჭიროა უფრო მეტად მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის, ვიდრე საინვესტიციო ან სხვა მიზნებისათვის. კომპანია აკლასიფიცირებს ინვესტიციებს, როგორც ნაღდი ფულის ექვივალენტებს, თუ ისინი ადვილად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს.

3.9 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული

მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. კომპანიის ხელმძღვანელობა თავიდან შეაფასებს აღნიშნულ საკითხს 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება წარმოებული და იმპორტირებული საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

რეალიზაცია

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე. შემოსავალი მცირდება მომხმარებლების მიერ მოსალოდნელი

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროულად, ძირითადად თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მითითებით, რომელიც თავისთავად, წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ახდენს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში და დაჰყავს ის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<i>ღირებულება</i>						
1 იანვარი, 2017 წელი	1,889	11,515	11,928	381	380	26,093
შემოსვლა	-	-	201	1	13	215
გასვლა	-	-	(7)	(3)	(13)	(23)
31 დეკემბერი, 2017 წელი	1,889	11,515	12,122	379	380	26,285
შემოსვლა	-	-	257	4	-	261
გასვლა	-	-	(88)	(19)	(34)	(141)
31 დეკემბერი, 2018 წელი	1,889	11,515	12,291	364	346	26,405
<i>დაგროვილი ცვეთა</i>						
1 იანვარი, 2017 წელი	-	4,503	5,482	259	312	10,556
წლის ცვეთა	-	574	925	75	66	1,640
კლების შედეგად კორექტირება	-	-	-	(12)	(2)	(14)
31 დეკემბერი, 2017 წელი	-	5,077	6,407	322	376	12,182
წლის ცვეთა	-	577	962	45	4	1,588
კლების შედეგად კორექტირება	-	-	(40)	(3)	(34)	(77)
31 დეკემბერი, 2018 წელი	-	5,654	7,329	364	346	13,693
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
31 დეკემბერი, 2017 წელი	1,889	6,438	5,715	57	4	14,103
31 დეკემბერი, 2018 წელი	1,889	5,861	4,962	-	-	12,712

კომპანია ფლობს მიწას 300 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების მიწას აგარაში. მიწა გადაფასდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2015 წელს და ღირებულებამ შეადგინა 1,899 ათასი ლარი. 2018 წელს კომპანიამ შეცვალა მიწის საანგარიშგებო პოლიტიკა თვითღირებულების მოდელიდან გადაფასების მოდელზე, რომელიც გავრცელდა რეტროსპექტიულად 2015 წლის 1-ლი იანვრიდან.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 448 ათას ლარს. (2017: 542 ათასი ლარი) და წარმოდგენილია მანქანა-დანადგარებსა და მძიმე აღჭურვილობის კატეგორიაში.

710 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი საშუალებები სრულად არის გაცემითი.

ცვეთის ხარჯი აღრიცხულია მოგება/ზარალის უწყისზე შემდეგი პროპორციით:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (შენიშვნა 11)	706	1,291
აღმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 13)	245	241
	951	1,532
მარაგებზე დარიცხული ცვეთა წლის ბოლოს	637	108
	1,588	1,640

5 მარაგები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	18,386	2,154
გადამუშავების პროცესში მყოფი მარაგები	1,222	1,220
ნედლეული	136	140
	19,744	3,514

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო მოთხოვნები	300	574
საკრედიტო ზარალის გაუფასურება	(12)	(15)
	288	559
<i>არა-ფინანსური აქტივები</i>		
წინასწარ გაწეული ხარჯები	128	608
წინასწარგადახდილი ხელფასები	57	-
სახელმწიფოს ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი გადასახადები	23	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	496	1,167

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია სამართლიან ღირებულების მიახლოებულ თანხად.

სავაჭრო მოთხოვნები გადათვლილია დაახლოებით 30-90 დღეზე. არ ერიცხება პროცენტი.

სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი თანხები შეადგენს წინასწარ გადახდილ დამატებულ ღირებულების გადასახადს (დღგ), რომელიც უახლოეს მომავალში სრულად დაფარვადია.

შენიშვნა 19-ში წარდგენილია საკრედიტო რისკებისა და შესაძლო დანაკარგებით გამოწვეული ზარალის ანალიზი. შესაძლო დანაკარგების ზარალი გადაანგარიშებულია ბასს 39-ის მიხედვით, რომელიც მიმდინარე პერიოდს ფასს 39-ით ჩანაცვლდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 19-ში.

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	12	8
საბანკო ანგარიშები	887	273
	<u>899</u>	<u>281</u>

ფულადი სახსრები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 19-ში.

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 საფესდეზო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი არის 5,156 ათასი ლარი. (2017 წლის 31 დეკემბერი: 5,156 ათასი ლარი). მფლობელებს შორის განაწილება არის შემდეგნაირი:

აქციონერები :	%
შპს “ანატოლია თრეიდ კომპანი” (საქართველო)	51.00
შპს “უნივერსალ კაპიტალ ჯგუფი” (საქართველო)	24.50
შპს “ნირეზოუნ საქართველო” (საქართველო)	16.33
Wellington Marketing FZE (გაერთიანებული ემირატები)	8.17
	<u>100.00</u>

8.2 დივიდენდები

2018 და 2017 წელს არ გამოცხადებულა გასაცემი დივიდენდები.

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	108	48
საეაჭრო ვალდებულებები	13,297	71
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	2,214	67
მიღებული ავანსები	14	90
	<u>15,633</u>	<u>276</u>

ვალდებულებები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19-ში.

10 შემოსავალი

შემოსავალი წარმოიქმნება წარმოებული და იმპორტირებული შაქრისგან. კომპანიას არ აქვს კონტრაქტუალური ვალდებულებები დაუკმაყოფილებელი შესასრულებელი მოვალეობების მიმართ.

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქციის რეალიზაცია	50,731	75,681
თანაპროდუქტის ექსპორტი	-	9,575
იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია	13,628	4,701
თანაპროდუქტის რეალიზაცია	533	781
სხვა	26	26
	<u>64,918</u>	<u>90,764</u>

2016 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია და ადგილობრივი წარმოების ექსპორტზე გატანა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმიტომ, რომ საქართველოს ბაზარზე გამოჩნდა სხვა კონკურენტი კომპანიები, რომლებსაც ბაზარზე შემოაქვთ იმპორტირებული საქონელი იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე კომპანიის წარმოებული პროდუქციაა.

სხვა შემოსავალი მოიცავს სხვა მარაგების გაყიდვისგან და ასევე ტრანსპორტირებით მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს.

11 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქციის რეალიზაცია	48,230	71,633
იმპორტირებული საქონლის შესყიდვა	15,097	4,801
ექსპორტისთვის განკუთვნილი თანდაპროდუქტების თვითღირებულება	-	8,475
თანაპროდუქტების ადგილობრივი რეალიზაციის თვითღირებულება	110	405
ექსპორტისთვის განკუთვნილი მზა პროდუქციის თვითღირებულება	-	1,290
სხვა	17	25
	63,454	86,629

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შეიცავს შემდეგ ხარჯებს:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
პირდაპირი მასალები	46,547	69,599
თანამშრომელთა ხელფასი	977	743
ცვეთა	706	1,291
	48,230	71,633

12 სხვა შემოსავალი

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი ნაპატიები გადასახადიდან	3,636	1,250
სხვა	49	91
	3,685	1,341

კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესებისა და პროდუქციის პროცესის წახალისების მიზნით საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ეპატიებინა საგადახდო ვალდებულებები 2018 და 2017 წლისთვის.

13 ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ხელფასი	2,106	3,853
რემონტის ხარჯი	445	232
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	386	175
ცვეთა და ამორტიზაცია	246	242
კონსულტაცია და პროფესიონალური მომსახურება	120	60
უსაფრთხოება	103	80
კომუნალური ხარჯი	91	78
საბანკო ხარჯი	34	29
სადაზღვეო ხარჯი	33	23
მოთხოვნების რეზერვი	(3)	15
სხვა ხარჯები	411	397
	3,972	5,184

14 რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ხელფასი	426	439
საწყობის ქირა	204	84
გადაზიდვის ხარჯი	52	234
რეკლამის ხარჯი	75	18
	757	775

15 სხვა ფინანსური ხარჯი

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საკუროს სხვაობის მოგება/(ზარალი):		
სესხებსა და მოთხოვნებზე	497	311
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით დათვლილი	(1,515)	(717)
	(1,018)	(406)

16 მოგების გადასახადის ხარჯი/(განეზიტი)

ათასი ლარი

მიმდინარე გადასახადი

2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
35	19
35	19

მოგების გადასახადის ხარჯის რაოდენობა 2018 და 2017 წლისთვის დაკავშირებულია გამოუქვითავ ერთეულებთან. რადგანაც დივიდენდები არ გამოცხდებულა 2018 და 2017 წლებში, მოგების გადასახადის გაანგარიშების წარდგენის აუცილებლობა არ არსებობს.

გადავადებული გადასახადის კორექტირება დაკავშირებულია ცვლილებებთან მოგების გადასახადის მოდელზე, რომელიც ეფუძნება 2017 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული ცვლილების შედეგად 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). შესწორებული საგადასახადო კონცეფციის თანახმად, არ არსებობს დროებითი სხვაობა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო საფუძველს შორის.

ცვლილებამ დაუყოვნებელი გავლენა მოახდინა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც მიეკუთვნება წინა პერიოდებს. კომპანიამ ახლიდან გადათვალა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მთლიანად გააუქმა გამოუყენებელი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

17 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და განხილვები

შეფასებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

17.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, იშვიათად ემთხვევა რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ხანგრძლივობა

მმართველობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ხანგრძლივობა.

მმართველობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობის შეფასებისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

17.2 სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შეფასებები

აღნიშნული ფინანსური ანგარიში მომზადებულია საწარმოს მომავალში ფუნქციონირების განგრძობითობის შესაძლებლობის საფუძველზე (going concern basis).

2018 წლის განმავლობაში კომპანიის ფინანსური წელი ზარალით დასრულდა, რომელმაც შეადგინა 565 ათასი ლარი (2017: 910 ათასი ლარი). აღნიშნულის მიზეზია საქართველოს ბაზარზე შემოსული ახალი კონკურენტი კომპანიები, რომელთა ძირითადი საქმიანობაა იმპორტირებული შაქრის რეალიზაცია, მათ მიერ შეთავაზებული ფასი დაბალია, ვიდრე კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასი. მოგების მარჟა 2018 და 2017 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, ასევე შემცირდა თანამშრომელთა რაოდენობაც, რომლებიც ჩართულნი იყვნენ წარმოების პროცესში.

როგორც ნახსენებია მე-10 შენიშვნაში, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ალტერნატიული გზების ძიება – საქონლის იმპორტი და რეალიზაცია. ხელმძღვანელობა ასევე ცდილობს ალტერნატიული მომწოდებლების ძიებას, იმისათვის, რომ შეიძინოს წარმოების მასალები უფრო დაბალ ფასად. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ წარმოების სტრატეგიის შეცვლა და შაქრის იმპორტი გაზრდის კომპანიის მომგებიანობას და რომ უწყვეტი ფუნქციონირების დაშვება შესაფერისია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

17.3 მნიშვნელოვანი შეფასებები კომპანიის მომავალ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი მნიშვნელოვანი შეფასებები საწარმოს ფუნქციონირებასთან მიმართებაში:

- ამჟამად ხელმძღვანელობა ეძებს უფრო იაფფასიან მომწოდებლებს, იმისათვის, რომ განაგრძოს წარმოება.
- 2018 და 2017 წლების განმავლობაში კომპანიამ უკრაინიდან შემოიტანა იმპორტირებული საქონელი. მომავალში ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ მოძებნოს სხვა ქვეყნებიდან მომწოდებლებიც, იმისათვის, რომ მოახდინოს საქონლის იმპორტი და მისი შემოდგომი რეალიზაცია ქვეყნის მასშტაბით.

18 ფინანსური ინსტრუმენტები

18.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

18.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შენიშვნა 3.8-ში აღწერილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თითოეული კატეგორია და შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

2018 წლის 31 დეკემბერი

	ამორტიზირებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება მოგება- ზარალის გავლით	პეჯირები სთვის გამიზნულ ი დერივატი ვები (FV)	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	288	-	-	288
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	899	-	-	899
	1,187	-	-	1,187

ფინანსური ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბერი

	სხვა ვალდებულებები სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალის გავლით	სხვა ვალდებულებები (ამორტიზირებუ ლი ღირებულება)	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	13,445	13,445
	-	13,445	13,445

ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდა წინა პერიოდში ბასს 39-ის მიხედვით:

ფინანსური აქტივები

2017 წლის 31
დეკემბერი

	გასაყიდად გამიზნული (FV)	სავაჭროდ გამიზნული (FVTPL)	პეჯირებისთვის გამოყენებული დერივატივები	დაფარვის ვალდებულებები ფლობილი (ამორტიზირებ ული ღირებულება)	სესხები და მოთხოვნები (ამორტიზირებული ღირებულება)	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	559	559
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	-	-	-	-	281	281
	-	-	-	-	840	840

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი

2017 წლის 31 დეკემბერი

	სხვა ვალდებულებები (FVTPL)	სხვა ვალდებულებები (ამორტიზირებული ღირებულება)	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	119	119
	-	119	119

19 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც ფინანსურ აქტივებთანაა დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის გამო და ძირითადად აქვს სავალუტო რისკი, როგორც ფინანსირებისგან, ასევე ინვესტირებისგან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები.

კომპანიას ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

უცხოური ვალუტით გატარებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული საბოლოო განაკვეთით:

ერთეული

31 დეკემბერი , 2018 წელი

	დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივი</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1	-
ფული და საბანკო ანგარიშები	15	10
	16	10
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,276	-
	13,276	-
წმინდა პოზიცია	(13,260)	10

ერთეული

31 დეკემბერი , 2017 წელი

	დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივი</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	572	-
ფული და საბანკო ანგარიშები	14	3
	<u>586</u>	<u>3</u>
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3	-
	<u>3</u>	<u>-</u>
წმინდა პოზიცია	<u>583</u>	<u>3</u>

ცხრილი ასახავს ლარის დოლარის და ევროს მიმართ 15% (კლება)/მატების გავლენას კომპანიაზე. 15% (2017: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული საგარეო ცვლილება ევროსა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2017: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018	2017	2018	2017
მოგება/ზარალი	1,989	(58)	(2)	-

უცხოური გაცვლითი კურსისადმი მგრძნობელობა მნიშვნელოვნად იცვლება უცხოური ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციებიდან გამომდინარე. ზემოთ განხილული ანალიზი წარმოდგენილია ხასიათს ატარებს .

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტებისგან, რომლებიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკი იმართება ჯგუფურ ბაზაზე კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულად ბალანსებთან და დეპოზიტებთან ბანკში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

კომპანია შემოსავალს ძირითადად იღებს შაქრის ვაჭრობიდან (როგორც იმპორტირებული შაქარი, ასევე საკუთარი წარმოების).

კომპანიას არ აქვს ფასიანი ქაღალდები სავაჭრო მოთხოვნების ბალანსზე. აგრეთვე, კომპანიას არ აქვს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული უზრუნველყოფა (მაგალითად ფული და ფულის ეკვივალენტები ბანკში).

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული ერთეულები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსური კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია საგადახდო პროფილზე გაყიდვებისთვის რომელიც გადავადებულია გასული 48 თვით, ასევე შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღარ აღიარდება), როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მოთხოვნების აღდგენის. ანგარიშგაქტურის თარიღიდან 365 დღის გასვლის შემდგომ გადაუხდელობა და კომპანიასთან ალტერნატიული გადახდების არ შეთანხმება მიჩნეულია მოთხოვნების აღდგენის არაგონივრულ მოლოდინად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობის მიხედვით არის შემდეგი:

ათასი ლარი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მილიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2018 წლის 31 დეკემბერი			
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1 წელზე მეტი	100%	12	12
		12	12

ათასი ლარი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მილიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2018 წლის 1-ლი იანვარი			
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1 წელზე მეტი	100%	15	15
		15	15

გაუფასურების რაოდენობა წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების ერთ ინდივიდუალურ ერთეულს.

C) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდის უუნარობას.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2018

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		
6 თვეზე ნაკლები	13,405	13,405
6 თვიდან 1 წლამდე	-	-
1-5 წლამდე	-	-
5 წელზე მეტი	-	-
	13,405	13,405

2017

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		
6 თვეზე ნაკლები	119	119
6 თვიდან 1 წლამდე	-	-
1-5 წლამდე	-	-
5 წელზე მეტი	-	-
	119	119

20 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს ფუნქციონირება და აქციონერებისთვის შესაბამისი ამონაგების ჩვენება.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მფლობელთა კაპიტალისგან რომელიც თავისთავად მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ მოგება/ზარალს.

მმართველობა უზრუნველყოფს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს, რათა განაგრძოს ეფექტური ფინანსირების სტრუქტურა და თავიდან აიცილოს დიდი სესხები. ეს ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის ღონეებს. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და აკეთებს კორექტირებას აქტივებზე ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს, ან დააკორექტიროს კაპიტალი, კომპანიას შეუძლია ჩაასწოროს გაცემული დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივი რათა შეამციროს ვალი.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის გადასახედად, არის შემდეგი:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	18,256	18,821
გამოკლებული: ფული და საბანკო ანგარიშები	(899)	(281)
აბიტალი	17,357	18,540
მთლიანი კაპიტალი	18,256	18,821
სესხები	-	-
სრული ფინანსირება	18,256	18,821
კაპიტალის საერთო დაფინანსების თანაფარდობა	0.95	0.99

21 გაუთვალისწინებელი გარემოებები

21.1 ბიზნეს გარემო

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. მთავარი დაბრკოლება სამომავლო ეკონომიკური განვითარებისთვის არის დაბალი ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარება, ცენტრალიზირებული ეკონომიკურ ბაზისთან, რეგიონალურ არასტაბილურობასთან და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად.

საქართველოსთან თანამშრომლობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია საზღვარგარეთიდან შემოსული ფულის შემცირება, რაზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. სამთო პროდუქტების საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებთან დაკავშირებული გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, შესაძლოა გამოიწვიოს ქართული ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობა გაუარესება. თუმცა, როგორც ამ გაურკვევლობებში ჩართული ცვალებადებისა და დაშვებების რიცხვი მაღალია, ხელმძღვანელობა ვერ შეძლებს იმ საანგარიშო თანხების საიმედო შეფასებას, რომლის თანახმადაც კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეიძლება შეიცვალოს.

კომპანიის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ დღევანდელ პირობებში სათანადო ღონისძიებები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად

21.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ორგანოს მიერ გადმოცემული განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან.

საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარეგულირებულ ჯარიმები და საურავები.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

22 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვა დანარჩენი, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

22.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას მართავს შპს ანატოლია თრეიდ კომპანი, რომელიც ფლობს აქციების 51%-ს. ინფორმაცია კომპანიის მფლობელებზე მოცემულია შენიშვნა 1 და 8-ში.

2018 წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და პერიოდის ბოლო ნაშთები:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ტრანზაქცია		
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ერთეულები</i>		
საქონლის რეალიზაცია	8,060	9,664
საქონლის შესყიდვა	181	92
მომსახურების შეძენა (ქონების გაქირავება)	159	49
<i>მმართველი პერსონალის ანაზღაურება</i>		
ხელფასი და სხვა ბენეფიტები	445	895

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბალანსები		
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	196	508
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	68	-

23 შედარებითი ანგარიშგებების გადაანგარიშება

ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა უზუსტობა შედარებით ინფორმაციაში, ქვემოთ მოცემულ პოზიციებში და შესაბამისად ინფორმაცია უზუსტობების გასასწორებლად.

- a) კომპანია აგარში ფლობს მიწას, რომლის ისტორიული ღირებულება არის 300 ათასი ლარი. 2018 წელს კომპანიამ შეცვალა მისი სააღრიცხვო პოლიტიკა და ღირებულებითი აღრიცხვის მოდელიდან გადავიდა გადაფასების მოდელზე. აღნიშნული ცვლილება კომპანიამ ასახა რეტროსპექტიულად 2015 წლის 1

იანვრიდან და მოახდინა ფინანსური ანგარიშის გადაანგარიშება.. გადაფასების შემდგომ მიწის ღირებულება განისაზღვრა 1,889 ათასი ლარით. შეფასება გაკეთდა დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. კომპანიამ მოახდინა ძირითადი საშუალებების, აკუმულირებული მოგების, გადაფასების რეზერვისა და უმცირესობის წილის კორექტირებები.

- b) კომპანიამ მიმდინარე პერიოდს აღმოაჩინა, რომ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ წარმოების პროცესში კაპიტალიზირდებოდა მზა პროდუქციაზე (მარაგები), ხოლო შემდგომ პერიოდს გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაზე მათი ჩამოწერა არ ხორციელდებოდა. შესაბამისად, კომპანიამ მოახდინა მარაგების და აკუმულირებული მოგების კორექტირება 2017 წლის 1 იანვრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კომპანიამ მოახდინა 2017 წლის პერიოდის მოგება-ზარალში გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების კორექტირება.

მოცემული ცხრილი აჯამებს კორექტირებებს, რომლებიც გაკეთდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში, მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადაანგარიშებისა და ხელახალი წარდგენის შედეგად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი

2017 წლის 31 დეკემბერი

	გადაანგარიშებამდე აღრიცხული	კორექტირებები	გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
არამატერიალური აქტივები	12,514	1,589 (ა)	14,103
ათასი ლარი	19	-	19
	12,533	1,589	14,122
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4,767	(1,253) (ბ)	3,514
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,167	-	1,167
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	13	-	13
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	281	-	281
	6,228	(1,253)	4,975
სულ აქტივები	18,761	336	19,097
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	5,156	-	5,156
აკუმულირებული მოგება	13,329	(1,253) (ბ)	12,076
გადაფასების რეზერვი	-	1,589 (ა,ბ)	1,589
მშობელი საწარმოს დამფუძნებლებზე მისაკუთრებული კაპიტალი	18,485	336	18,821
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	276	-	276
	276	-	276
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	18,761	336	19,097

ათასი ლარი

2016 წლის 31 დეკემბერი

	გადაანგარიშებად აღრიცხული	კორექტირებები		გადაანგარიშებული
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები				
არამატერიალური აქტივები	13,948	1,589	(ა)	15,537
ათასი ლარი	20	-		20
	13,968	1,589		15,557
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7,462	(914)	(ბ)	6,548
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,863	-		4,863
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	553	-		553
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	195	-		195
	13,073	(914)		12,159
სულ აქტივები	27,041	675		27,716
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>				
საწესდებო კაპიტალი	5,156	-		5,156
აკუმულირებული მოგება	13,900	(916)	(ბ)	12,986
გადაფასების რეზერვი	-	1,589	(ა,ბ)	1,589
მშობელი საწარმოს დამფუძნებლებზე მისაკუთვნიებული კაპიტალი	19,056	675		19,731
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,134	-		7,134
სესხები	851	-		851
	7,985			7,985
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	27,041	675		27,716

მოგება ზარალის ანგარიშგება

ათასი ლარი

2017 წლის 31 დეკემბერი

	გადაანგარიშებამდე აღრიცხული	კორექტირებები	გადაანგარიშებული
შემოსავალი	90,764	-	90,764
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(86,290)	(339) (ბ)	(86,629)
საერთო მოგება	4,474	(339)	4,135
სხვა შემოსავალი	1,341	-	1,341
ადმინისტრაციული ხარჯები	(5,184)	-	(5,184)
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	(775)	-	(775)
შედგენი საოპერაციო საქმიანობიდან	(144)	(339)	(483)
ფინანსური ხარჯი	(2)	-	(2)
სხვა ფინანსური ერთეულები	(406)	-	(406)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(552)	(339)	(891)
მოგების გადასახადის (ხარჯი)/ბენეფიტი	(19)	-	(19)
წლის წმინდა ზარალი	(571)	(339)	(910)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)
	შენიშვნა			
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	4	12,712	14,103	15,537
არამატერიალური აქტივები		18	19	20
		<u>12,730</u>	<u>14,122</u>	<u>15,557</u>
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	19,744	3,514	6,548
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	496	1,167	4,863
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		20	13	553
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	899	281	195
		<u>21,159</u>	<u>4,975</u>	<u>12,159</u>
სულ აქტივები		<u><u>33,889</u></u>	<u><u>19,097</u></u>	<u><u>27,716</u></u>
 კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>				
საწესდებო კაპიტალი	8.1	5,156	5,156	5,156
გადაფასების რეზერვი		1,589	1,589	1,589
აკუმულირებული მოგება		11,511	12,076	12,986
სულ კაპიტალი		<u>18,256</u>	<u>18,821</u>	<u>19,731</u>
 <i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	15,633	276	7,134
სესხები		-	-	851
		<u>15,633</u>	<u>276</u>	<u>7,985</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>33,889</u></u>	<u><u>19,097</u></u>	<u><u>27,716</u></u>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წ. 11 ივნისს:

ალხან ალიზადა

გენერალური დირექტორი

ირმა ირემაძე

ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 11-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აგარის შაქრის კომპანია" დაფუძნებულია 2010 წლის 22 ივლისს.


შპს "აგარის შაქრის კომპანია" 2018 წლის ნოემბრამდე ძირითადად აწარმოებდა გრანულირებულ თეთრ შაქარს 50 კილოგრამიან პოლიეთილენის ტომრებში და ახდენდა მის რეალიზაციას საქართველოში. მის საკუთრებაში არსებული აგარის შაქრის ქარხანა აშენებულია 1932 წელს. საწარმო განლაგებულია ქარელის რაიონის დაბა აგარის ცენტრში, თბილისიდან 100 კილომეტრის მანძილზე. იგი განთავსებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გზატკეცილზე, ის ახლოა შავი ზღვის პორტებთან (ფოთი - 220 კმ., ბათუმი - 300 კმ.). მისი მდებარეობა ხელსაყრელია ნებისმიერი თვალსაზრისით, რადგანაც იგი ქვეყნის შუაგულში მდებარეობს და მისი ნებისმიერი საზღვრიდან დაახლოებით თანაბარი მანძილითაა დაშორებული, ხოლო ცენტრალური ტრასიდან და სარკინიგზო მაგისტრალიდან 50-200 მეტრშია. ქარხანა უზრუნველყოფილია სასაწყობო მეურნეობასთან სარკინიგზო მისასვლელით. საწარმოს ფართობი შეადგენს 29 ჰექტარს. მის მფლობელობაშია სასაწყობო შენობები, 8,035 ჰა. ფართობის სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 0,3322 ჰა. ფართობის წყალსაქანის ტერიტორია. საწარმო მარაგდება ელექტროენერგიით, საწვავით, არსებობს წყლით მომარაგების ბუნებრივი რესურსები. თავისი არსებობის პირველ წლებში საწარმო აწარმოებდა შაქარს მხოლოდ შაქრის ჭარხლიდან. პირველ, 1933 წელს გადამუშავებული იყო მხოლოდ 4440 ტონა შაქრის ჭარხალი. წლიდან წლამდე საქართველოს შაქრის კომბინატი ზრდიდა სადღეღამისო წარმადობას და გადამუშავებული შაქრის ჭარხლის მოცულობას. 1958 წლიდან შაქრის ქარხანამ დაიწყო იმპორტული შაქრის ლერწმის გადამუშავება. თანდათან იზრდებოდა შაქრის ლერწმის გადამუშავების გამოცდილება და უკვე სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კომბინატმა მიაღწია უმაღლეს მაჩვენებლებს. იგი ამუშავებდა წელიწადში 100000 ტონაზე მეტს შაქრის ჭარხალს და 50000 ტონაზე მეტს შაქრის ლერწმის ნედლეულს. ოთხმოცდაათიან წლებში შაქრის ჭარხლის დამზადების შემცირების მიუხედავად, მას არცერთი ხანგრძლივი გაჩერება არ ჰქონია.

განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები

1997 წლიდან 2018 წლის ნოემბრამდე ქარხანა მუშაობდა იმპორტირებული შაქრის ლერწმის ნედლეულზე. საწარმო ნედლეულად იყენებდა ბრაზილიის უმაღლესი ხარისხის შაქრის ლერწამს. იგი მუშაობდა უწყვეტი ციკლით 24 საათის განმავლობაში ოთხ ცვლად და დასაქმებული ჰყავდა 479 თანამშრომელი. საზოგადოებასთან ფუნქციონირებს სასაღილო, სამედიცინო პუნქტი.



ცხრილი № 1



მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის გაძვირებასთან და ქვეყანაში იმპორტირებულ შაქარზე კვოტების არ არსებობის გამო, რაც გამოწვეულია ევროკავშირთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიერ, იმპორტირებული შაქარი აღმოჩნდა მნიშვნელოვან უპირატესობაში. უპირატესობას ძირითადად ქმნის ევროპაში არსებული სახელმწიფოების მხრიდან, ირიბი სუფსიდია შაქრის წარმოებაზე, რაც გამოიხატება შაქრის ჭარხლის მომწვანი ფერმერებისთვის დაწესებული სუფსიდიებით. რის შედეგადაც 2017წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საწარმოს შეიღწევიან გაჩერებებს, მხოლოდ შემდეგ ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად საწარმოს მუშაობა აღდგენილ იქნა, თუმცა ზემოდ ნახსენები ხელისშემშლელი პირობებიდან გამომდინარე კომპანია 2018წელს თებერვლიდან-მაისის ჩათვლით ეწეოდა მზა პროდუქციის იმპორტს და რეალიზაციას, ივნისი თვიდან განაახლა წარმოება ნოემბერის შუა რიცხვამდე, რის შემდეგადაც სრულად შეწყვიტა ქარხანამ ფუნქციონირება. გადავიდა წარმოებული მარაგის ამოყიდვაზე და მარაგის ამოყიდვის შემდეგ სრულად გადაერთო შაქრის იპორტზე და მის რეალიზაციაზე. სახელმწიფოს მხრიდან რომ შემოდებულიყო ვაჭრობაში ადგილობრივი წარმოებისთვის დაცვითი ღონისძიებების შესახებ კანონი ან განთავისუფლებულიყო ერთადერთი საქართველოში შაქრის მწარმოებელი ქარხანა დამატებული ღირებულების გადასახადის-გან, ეს ხელს შეუწყობდა დარგის გადარჩენას ქვეყანაში და ქარხნის ხანგრძლივ მუშაობას.

შპს "აგარის შაქრის კომპანია"

საქართველო, თბილისი. 0120. მატროსოვის ქ. №13
ქარელის რაიონი, დაბა აგარა. ჩოლოყაშვილის №1
ტელ.: (+995 32) 260 97 01 ფაქსი: (+995 32) 260 97 05
ელ.ფოსტა: admin@agara.ge



"Agara Sugar Company" LLC

Matrosov Str. №13. 0120. Tbilisi. Georgia
№1 Cholokashvili Str. Borough Agara, Kareli district
Tel.: (+995 32) 260 97 01 Fax: (+995 32) 260 97 05
E-mail: admin@agara.ge

ქარხნის ფუნქციონირება პირდაპირ არის დამოკიდებული საერთაშორისო ბაზარზე შაქრის ღერწმის ნედლეულის ფასსა და მზა თეთრი შაქრის პროდუქტის ფასებს შორის სხვაობაზე. კომპანია გადამუშავებული პროდუქტის რეალიზაციის, შემდეგ გაყიდვის იმპორტირებულ პროდუქტს ადგილობრივ ბაზარზე.

შპს "აგარის შაქრის კომპანია"-მ მიაღწია შაქრის ქარხნის ისტორიაში იმპორტული შაქრის ღერწმის გადამუშავების ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლებს. 2012 წელს გადამუშავებულ იქნა 104285 ტონა შაქრის ღერწმის ნედლეული, 2014 წელს – 104686 ტონა და, შესაბამისად, გამოშვებული იყო 103487 ტონა და 102996 ტონა თეთრი შაქრის ფხენილი. საწარმო, ასევე, ახდენს შაქრის 1 და 5-კილოგრამიან პარკებში დაფასოებას. მარკეტინგული არეალის გაფართოების მიზნით, კომპანიამ გახსნა სარეალიზაციო ბაზრები ლილოს დასახლებაში, ქ. ბათუმში და ქ. სენაკში.

2016-2017-2018 წლებში გადამუშავებული ნედლეული

ცხრილი № 2

	გადამუშავებული ნედლეული
2016	49,273.40
2017	59,504.00
2018	69,401.00

კომპანიის საქმიანობის შედეგად სოლიდურ შემოსავალს იღებს ქვეყნის ბიუჯეტი დამატებითი ღირებულების გადასახადის, საშემოსავლოს და სხვა გადასახადების სახით, ასევე, ქვეყნის სხვა დარგებიც, მაგალითად რკინიგზა. წარმოების პროცესში კომპანია მოიხმარს ბუნებრივ აირს, კირქვას, ნახშირს და ტექნოლოგიური დანიშნულების დამხმარე მასალებს. აქედან გამომდინარე, მას თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

შპს "აგარის შაქრის კომპანია"

საქართველო, თბილისი, 0120. მატროსოვის ქ. №13
ქარელის რაიონი, დაბა აგარა, ჩოლოყაშვილის №1
ტელ.: (+995 32) 260 97 01 ფაქსი: (+995 32) 260 97 05
ელ.ფოსტა: admin@agara.ge



"Agara Sugar Company" LLC

Matrosov Str. №13. 0120. Tbilisi. Georgia
№1 Cholokashvili Str. Borough Agara, Kareli district
Tel.: (+995 32) 260 97 01 Fax: (+995 32) 260 97 05
E-mail: admin@agara.ge

ცხრილი № 3

	საშემოსავლო	დღგ	სხვა დანარენი	სულ გადახდილია ბიუჯეტში
2016	1,042,357.57	17,592,670.29	205,328.00	18,840,355.86
2017	736,568.94	11,740,197.00	201,534.03	12,678,299.97
2018	254,810	4,941,262	175,281	5,371,353

დღეისათვის არსებული ტექნოლოგია, წარმოების პროცესი, პროდუქციის ფიზიკო-ქიმიური და ორგანო-ლექტიკური მაჩვენებლები მსოფლიო სტანდარტებს მიესადაგება და პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. ამის თავისებური გარანტიაა გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. კომპანია მიზნად ისახავს მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილების მუდმივ გაუმჯობესებას.

წარმოებული კვლევები და მისი განვითარება

ბოლო ორი წელია კომპანიაში არ ჩატარებულა კვლევები და არც იგეგმება უახლოესი პერიოდის განმავლობაში

საკუთარი აქციები(საწესდებო კაპიტალი)

ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა ცვლილება საწესდებო კაპიტალში და არ ყოფილა აქციების გამოშვება-გამოსყიდვა

რისკების მიმოხილვა

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივობით ვაჭრობაში. კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის გამო და ძირითადად აქვს სავალუტო რისკი, როგორც ფინანსირებისგან, ასევე ინვესტირებისგან.

კომპანიას ზოგოერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. ქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

შპს "აგარის შაქრის კომპანია"

საქართველო, თბილისი, 0120. მატროსოვის ქ. №13
ქარელის რაიონი, დაბა აგარა. ჩოლოყაშვილის №1
ტელ.: (+995 32) 260 97 01 ფაქსი: (+995 32) 260 97 05
ელ.ფოსტა: admin@agara.ge



"Agara Sugar Company" LLC

Matrosov Str. №13. 0120. Tbilisi. Georgia
№1 Cholokashvili Str. Borough Agara, Kareli district
Tel.: (+995 32) 260 97 01 Fax: (+995 32) 260 97 05
E-mail: admin@agara.ge

ცხრილში მოცემულია 2016-2017-2018 წლის ფინანსური კოეფიციენტები

წლები	2018	2017	2016
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	3.56	4.91	5.71
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.35	22.57	1.64
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.09	5.29	0.7
მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი	3.21	18.1	13.63

შპს "აგარის შაქრის კომპანია"-ს დირექტორი

ა.ალიზადა

შპს "აგარის შაქრის კომპანია"

საქართველო, თბილისი, 0120. მატროსოვის ქ. №13
ქარელის რაიონი, დაბა აგარა. ჩოლოყაშვილის №1
ტელ.: (+995 32) 260 97 01 ფაქსი: (+995 32) 260 97 05
ელ.ფოსტა: admin@agara.ge



"Agara Sugar Company" LLC

Matrosov Str. №13. 0120. Tbilisi. Georgia
№1 Cholokashvili Str. Borough Agara, Kareli district
Tel.: (+995 32) 260 97 01 Fax: (+995 32) 260 97 05
E-mail: admin@agara.ge

ცხრილში მოცემულია 2016-2017-2018 წლის ფინანსური კოეფიციენტები

წლები	2018	2017	2016
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	3.56	4.91	5.71
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.35	22.57	1.64
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.09	5.29	0.7
მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი	3.21	18.1	13.63

შპს "აგარის შაქრის კომპანია"-ს დირექტორი  აალიზადა



დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T. + 995 322 604 406

შპს აგარის შაქრის კომპანიის ხელმძღვანელობას

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს აგარის შაქრის კომპანიამ („კომპანია“) მოამზადა მმართველობის ანგარიშგება 2018 წლისათვის.

ჩვენ ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2019 წლის 11 ივნისს გავაცეთ ჩვენი დასკვნა, სადაც გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხება იმ სხვა ინფორმაციას რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა კომპანიამ და წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგებაში. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნის გაცემის შემდეგ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

- გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხედენილობაზე კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- აუდიტის განხორციელების პროცესში კომპანიის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი;

- c) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

- a) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.
- b) ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არესბით უზუსტობებს შეიცავს იმ შემთხვევაში, თუკი მასში ასახული ისტორიული მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით არსებით უზუსტობად მივიჩნევთ, თუკი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას განვსაზღვრეთ, რომ კომპანიას საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება აღარ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ხოლო მმართველობის ანგარიშგებაში ეს საკითხი არ არის (ან არასაკმარისად არის) განხილული. მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით ჩვენ არ განვსაზღვრავს არსებითობის სხვა კრიტერიუმები. ჩვენს მიერ ჩატარებული პორცედურების შედეგად ჩვენ არ შეგვხვედრია არსებითი უზუსტობები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ჩვენს ანგარიშში მითითების გაკეთება.
- c) მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას, თუმცა ჩვენი აზრით, მასში საკმარისად დეტალურად არ არის აღწერილი კომპანიის წინაშე მდგარი რისკები და ის, თუ როგორ მართავს ამ რისკებს კომპანია.

ვახტანგ ცაბაძე,

დირექტორი,

მმართველი პარტნიორი

ქეთევან ღამბაშიძე

რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 28 სექტემბერი,
თბილისი

